საჯაროსამართლის იურიდიულიპირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფოუნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/57

ქ. ბათუმი 26-07., 2017 წ

,,2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ბსუ–ს რექტორის მოადგილის 2017 წლის 12 ივლისის №01- 09/412 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13, 66–ე მუხლების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის" ,,,2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 23 იანვრის №01-08/3 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ბსუ–ს რექტორის 2017 წლის 12 ივლისის №01- 09/412 ბრძანებაში, ბრძანების მე-5 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცეს 2017 წლის 27 ივლისის მდგომარეობით ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტთა მიმართ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად".

2. ამ ბრძანებით იხელმძღვანელონ ბსუ-ს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა.
3. ბრძანება გამოყვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და განთავსდეს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**